სავაჭრო-კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანება

ქ. თბილისი 09.06.2025

საქართველოს პარლამენტს

ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ბაზრობები ათასობით მცირე მეწარმისა და მომხმარებელის ვაჭრობას უწევენ ორგანიზებას. ბაზრობებზე არსებული ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის შიდა ბაზრის ფუნქციონირებაში და სიღარიბის დაძლევის პროცესში. თუმცა, ბაზრობების ორგანიზატორებზე მოთხოვნათა გაძლიერება აკისრებს მათ არაპროპორციულად მაღალი ხარჯების გაწევის პასუხისმგებლობას, რაც ქმნის არაჯანსაღ ფინანსურ წნეხს და ზრდის მოიჯარეების და ორგანიზატორების უკმაყოფილებას.

ერთ-ერთი ასეთი რეგულაცია მესამე პირის სავალდებულო დაზღვევაა, რომელიც ყველა სხვა საკითხთან ერთად გულისხმობს: ბაზრობის ტერიტორიაზე მომუშავე მოიჯარის ქონების დაზღვევას (მათ შორის, ხანძრის, სტიქიური უბედურების და ა.შ.). ბაზრობების ორგანიზატორებს უწევთ სავალდებულო ფინანსური გადასახადების გადახდა მოიჯარის ქონების დაცვისთვის;

განურჩევლად იმისა, რომ ბაზრობის ორგანიზატორი სრულად და დროულად იხდის აღნიშნული დაზღვევის ღირებულებას, მოიჯარეების ქონების დაზიანების შემთხვევაში კომპენსაციის გაცემის მექანიზმი სათანადო აღრიცხვის შემთხვევაშიც კი რთულად რეალიზებადია, რაც ქმნის გაუგებრობას და ნდობის დეფიციტს.

მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის ასეთი ფორმა სავალდებულოა, ბაზრობების ორგანიზატორები აწყდებიან შემდეგ პრობლემურ გარემოებებს:

სადაზღვეო კომპანიები ხშირად უარს აცხადებენ ბაზრობებზე მესამე პირის დაზღვევაზე ან ითხოვენ მაღალ საფასურს და არარეალურ პირობებს. ამასთან ერთად, რადგან ზრდიან სავალდებულო საფასურს, ანალოგიურად ავრცელებენ ქონების დაზღვევაზეც გაზრდილ ტარიფებს და დაზღვევის ორივე ფორმის ზრდას მათი მხრიდან არა აქვს საზღვარი, ხან 300%-ით, ხან 600 %-ით. სადაზღვევო ტარიფები პირდაპირ აისახება საიჯარო გადასახადების ზრდაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სოციალურ უკმაყოფილებას და აზიანებს ბაზრობების ეკონომიკურ სტაბილურობას;

ბაზრობების ორგანიზატორებზე დამატებული ფინანსური გადასახადების ვალდებულებები, როგორიცაა სავალდებულო ფინანსური აუდიტი, სათვალთვალო კამერების დამატებითი მონტაჟი, მუდმივად უსაფრთხოების სისტემების გაუმჯობესება, სალარო აპარატების უზრუნველყოფა, მესამე პირის დაზღვევა, ქონების დაზღვევის გადასახადის ზრდა და ასე შემდეგ ქმნის არაეფექტურ ფინანსურ ხარჯვით სტრუქტურას, რომლის ტარება ბიზნესისთვის განსაკუთრებით რთულია.

იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო კომპანიები ყოველწლიურად ცდილობენ ფასების მატებას, რაც მძიმე ტვირთად აწვება ბიზნესს. წარმოგიდგენთ წინადადებებს, რომელთაგან ნებისმიერი საკითხის დარეგულირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს არსებულ ვითარებას:

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-5441/25
"10" 06 2025 წ. ფურცელი 38

[redacted]

1. მესამე პირის დაზღვევა გახდეს ნებაყოფლობითი – ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები ტარიფებს შეამცირებენ კონკურენციის გამო, ხოლო ბაზრობებს მიეცემათ არჩევნის საშუალება.
2. მესამე პირის დაზღვევის ვალდებულება გადავიდეს უშუალოდ მოიჯარეებზე, რომლებიც თავად დააზღვევენ საკუთარ ქონებას — რაც გამორიცხავს დამატებით ფინანსურ წნეხს ბაზრობებზე მოქმედ ტარიფებზე.
3. დაუწესდეს ზღვრული ტარიფები სადაზღვევო კომპანიებს, რათა დაზღვევა გახდეს ხელმისაწვდომი.

ბაზრობების ორგანიზატორები მზად არიან ითანამშრომლონ სახელმწიფო სტრუქტურებთან, რათა შემუშავდეს ისეთი მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ, როგორც მოქალაქეთა უსაფრთხოებას, მოიჯარეების ინტერესების დაცვას, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურის, სტაბილურობას.

მოგმართავთ თხოვნით, განხილული იქნას მოცემული საკითხი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რათა მიღებული რეგულაციები იყოს დაბალანსებული, სამართლიანი და ეკონომიკურად სტაბილური განვითარების ხელშემწყობი.

პატივისცემით,

მუხრან ბაგრატიონი

ააიპ „სავაჭრო კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანების“ თავმჯდომარე
ტელ: +[redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

[redacted]

Untitled

Mon 6/9/2025 6:45 PM

To:Parliament of Georgia <contact@parliament.ge>;

1 attachments (164 KB)

დაზღვევის განცხადება საქართველოს პარლამენტს - 9.06.2025.pdf;

მოგესალმებით,
გიგზავნით წერილს, გთხოვთ, დაგვიდასტუროთ წერილის მიღება.

პატივისცემით,
მუხრან ბაგრატიონი